სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
შაბათი
14
სექტემბერი
№ 107 (10500)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის კაბინეტის გაფართოებულ სხდომაზე

## განიხილავენ მუშაობის შედეგებს

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ახლადშექმნილი პრეფექტურის კაბინეტის სხდომამ, რომელიც გაიმართა 6 სექტემბერს, შეაჯამა მთელი რიგი უწყებების მუშაობის შედეგები. დროის ეს მონაკვეთი არის ქალაქსა და რაიონში ახალი ხელმძღვანელობის მმართველობის პერიოდი, რომელთა მუშაობისას ყოველ ნაბიჯზე გვხვდება 70-წლოვანი ისტორიის მქონე მძიმე მემკვიდრეობის გადმონაშთები. უპასუხისმგებლობამ და საქმისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ, ეკონომიკური სტრუქტურების მოშლამ, სოფლის მეურნეობაში გლეხკაცის როლის დაკნინებამ საზოგადოებრივი წესრიგისადმი უპატივცემლობამ წარმოშვა მთელი რიგი სიძნელეები რესპუბლიკის განვითარების გარდამავალ ეტაპზე. ეს ჩვენს რეგიონსაც ეხება. ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გაიმართა გულახდილი საუბარი სხდომაზე.

სხდომას უძღვებოდა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი თამაზ ყორყოლიანი, რომელმაც სიტყვა მისცა სოფლისა და ტყის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარეს ს. ლაგვილავას. გაერთიანების ხელმძღვანელმა ილაპარაკა რა, ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების 8 თვის შედეგებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჩაის ფოთლის დამზადების, რძისა და ხორცის წარმოების საკითხებს. მან აღნიშნა ჩაის ფოთლის დამზადება ეს არის ჩვენი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ძირითადი წყარო. მას უფრო მეტი ყურადღება სჭირდება. ადგილებიდან ხშირად მოდის პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, თითქოს ჩვენ ვაწესებდეთ გეგმებს. დღეისათვის არავითარი გეგმა არ არსებობს, არსებობს მხოლოდ პროგნოზები რაიონის პოტენციის გათვალისწინებით შედგენილი. დღეისათვის კი მოკრეფილია 45 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რომელიც ჩვენი რაიონისათვის დაბალი მაჩვენებელია. [illegible] შეეხება ხორცის წარმოებას, წელს რაიონში უნდა დამზადდეს 145 ტ. ხორცი. დღეისათვის დამზადებულია 24 პროცენტი. კატასტროფული მდგომარეობაა საზოგადოებრივ ფერმებში, სადაც სულ უფრო და უფრო მცირდება პირუტყვის რაოდენობა და ნამატის ზრდა. ასევე დაბალი მაჩვენებლები გვაქვს რძის დამზადებაში, ზამთარი კარზე მოგვადგა და არასახარბიელო მდგომარეობაა მეცხოველეობისათვის საკვები პროდუქტების დამზადებაში.

ბატონმა ს. ლაგვილავამ მოწინავეებს შორის დაასახელა ახალაბასთუმნის, ნარაზენის კოლმეურნეობები, ზედაეწერის მეურნეობა, ინგირის აგროსამრეწველო კომპლექსი. არადამაკმაყოფილებლად შეაფასა ჭაქვინჯის, ჭკადუაშის, ცაიშის სოფლის ხელმძღვანელთა მუშაობის შედეგები. გამომსვლელმა სამართლიანად შენიშნა, რომ მთელი რიგი უარყოფითი შედეგები ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია სოფლის მეურნეობის პასუხისმგებელ მუშაკთა არა არაკომპეტენტურობით, არამედ მათი მავნებლური საქმიანობითა და საბოტაჟით. შედეგად ამისა, მან თხოვნით მიმართა პრეფექტს, ადგილებზე გამკაცრდეს კონტროლი და მკაცრად დაისაჯონ ხშირ შემთხვევაში დამნაშავე სოფლის მეურნეობის პასუხისმგებელი მუშაკები.

საფინანსო განყოფილების გამგის კ. წურწუმიას ინფორმაცია შეეხო საკითხს ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის 1991 წლის 6 თვის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საშემოსავლო გეგმა შესრულებულია. ამას ხელი შეუწყო კოოპერატიულმა სექტორმა, რომელთა რიცხვი ჯერაც იზრდება. თუმცა კოოპერატივების საქმიანობაში ნეგატიური მოვლენები ძალიან ხშირია. ამავე დროს, საგადასახადო მოგება არ მიგვიღია ვაჭრობის ქსელიდან. ჩამორჩენა გვაქვს ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდში. აქ 2874,2 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულებამ მხოლოდ 840 ათასი მანეთი შეადგინა. საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით ხარჯები დაზუსტებული გეგმის მიმართ ათვისებულია 71 პროცენტით. აუთვისებელია საბინაო ფონდების კაპრემონტის თანხა 29 ათასი მანეთი, არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდება 80 ათასი მანეთი, ქუჩების კაპიტალური რემონტის 250 ათასი მანეთი. საფინანსო განყოფილება არც ერთ შემთხვევაში არ ხსნის პასუხისმგებლობას შექმნილი რთული სიტუაციის გამო და მაქსიმალურად ეცდება ვითარების გამოსწორებას.

დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსმა მ. ახალაიამ. საგადასახადო ინსპექციამ 6 თვის გეგმა შეასრულა 111 პროცენტით, შემოსული თანხის რაოდენობა არის 50 მლნ. მანეთი ნაცვლად 45 მილიონისა. წარმატებით მიმდინარეობს მე-8 კვარტალის გეგმის შესრულება. შემოწმებების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევები. სულ ამ პერიოდში შემოწმებულია 51 საკომისიო მაღაზია, რომელთა შორის 6 საკომისიო მაღაზიის საქმე გადაეცა სახალხო სასამართლოს.

ქალაქის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საქმეში წლების მანძილზე დაგროვილი სიძნელეების აღმოფხვრა იოლი როდია. თუ დღევანდელ ჩვენს ეკონომიკურ პირობებსა და ობიექტურ მიზეზებსაც დავუმატებთ ამას, საბინაო კომუნალური მეურნეობის გასაჭირი და სიძნელეები ყოველი ჩვენთაგანისათვის ნათელი იქნება. ამ და სხვა საკითხებზე ილაპარაკა საბინაო-კომუნალური განყოფილების უფროსის მოადგილემ რ. გვილიამ.

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო და რაიონული განყოფილების უფროსმა თ. ქირიამ წარმოადგინა ანგარიში 7 თვეში სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად გაწეული მუშაობის შესახებ. „1991 წლის ბოლო 7 თვეში სულ რეგისტრირებულია 425 სისხლის სამართლის დანაშაული, რაც გაცილებით მეტია გასულ წელთან შედარებით. ამათგან 193 დანაშაული დარჩა გაუხსნელი. თუმცა განზრახ მკვლელობა და გაუპატიურება წინა წელთან შედარებით შემცირდა, მაგრამ საგრძნობლად გაიზარდა ყაჩაღობა, ნარკომანია, სახელმწიფო ქონების დატაცება, იარაღის უკანონოდ შენახვა, მანქანების გატაცება. ამ 7 თვეში დაკავებულია ყაჩაღების 6 ჯგუფი —28 კაცის შემადგენლობით. ძალიან დიდია ავტოავარიების რიცხვი, რომელთა შედეგად გარდაიცვალა 18 კაცი. სულ უფრო და უფრო იზრდება საყოფაცხოვრებო დავის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა. განყოფილების უფროსის თქმით შს ორგანოებს აკლია თანადგომა მოსახლეობის მხრიდან. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსახლეობის ფართო ფენის წარმომადგენლები დამნაშავეს აფარებენ ხელს. არის რა თქმა უნდა სუბიექტური მიზეზებიც, მაგრამ აქაც მთელი რიგი გარდაქმნები მიმდინარეობს. მილიციის რიგების დატოვება მოუხდა 27 თანამშრომელს, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს სიძნელეებს და კეთილსინდისიერად ვერ იმუშავეს.

ქალაქის კულტურული ცხოვრების მეტად საჭირბოროტო საკითხს ეხებოდა გაზეთ „ოდიშის" რედაქტორის აკ. ჭანტურიას გამოსვლა. რესპუბლიკაში შექმნილია ქაღალდის მწვავე დეფიციტი. რომლის „სუსხი" ჩვენმა გაზეთმაც იგრძნო: სავალალო მდგომარეობაშია პოლიგრაფიული ბაზა. გაზეთის რედაქცია ამ შემთხვევაში პრეფექტურისა და საკრებულოს მხრიდან დახმარებას საჭიროებს. პრეფექტურის კაბინეტი სულ მოკლე ხანში ამ საკითხთან დაკავშირებით მაქსიმალურად ეცდება მდგომარეობის გამოსწორებას.

დღის წესრიგის გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ აგრეთვე: ჭკადუაშის საკრებულოს გამგებელი კ. ანთია, ინგირის საკრებულოს გამგებელი გ. კაკულია, სოფლისა და ტყის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების უფროსის მოადგილე თ. ცირამუა, განათლების განყოფილების გამგე ლ. კვირკველია, პრეფექტის მოადგილე გ. ჯახია და სხვა.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ინფორმაციების ფაქტობრივი გაგრძელება გახდა პრეფექტის მოადგილის პაატა ჩუხუას შემაჯამებელი გამოსვლა, რომელმაც სწორად შეაფასა სოფლის მეურნეობაში რთული ვითარება. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად მრავალმხრივი გაფრთხილებებისა საზოგადოებრივ მეურნეობების ხელმძღვანელებმა, ჩაის ფაბრიკის დირექტორებმა და სოფლის მეურნეობის ნამატი პროდუქტის დამზადების საწარმოს ხელმძღვანელობამ, არაფერი იღონეს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში იგრძნობოდა მათი მხრიდან უპასუხისმგებლობისა და საბოტაჟის გამოვლინებანიც. კერძოდ: არ იკრიფებოდა ჩაის ნედლეული, ჩააგდეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების პროგნოზები, ასევე გადამამუშავებელი მრეწველობის მხრიდან ადგილი ჰქონდა ჩაის ნედლეულის შეფერხებით მიღებას. ზოგიერთ ფაბრიკაში ვერ აითვისეს არსებული სიმძლავრეები. აგრეთვე, ჩაშლილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საქმე, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია: ჭაქვინჯის, ოქტომბრის, განმუხურის, შამგონის საზოგადოებრივი მეურნეობების, დარჩელის, ცაიშის, ახალსოფლის ჩაის ფაბრიკების და სოფლის მეურნეობის ნამატი პროდუქტების დამზადების საწარმოს ხელმძღვანელობის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი განხილულ იქნას პრეფექტურის კაბინეტის სხდომაზე.

პრეფექტურის კაბინეტის გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა პრეფექტმა თ. ყორყოლიანმა.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის პრესსამსახური.

# ფიქრები მოყვასზე...

„გიყვარდეს მოყვასი შენი"
„მათეს სახარება", — 5—43

ადამიანებს ოდითგან სიყვარული გვაკავშირებდა, სიყვარული ერთმანეთის.., იგი გვაძლევინებდა აურაცხელ მტერსა და ათასგვარ ჭირს... სიყვარული გვკვებავდა და გვასაზრდოვებდა, გვანუგეშებდა და გვიშრალებდა სიმწრის ცრემლს. კაცობრიობა ვერ გასძლებდა რომ არ მჯვარებოდა მოყვასი თვისი, რომ არ სტკენოდა მოძმის ტკივილი, რომ არ ეხარა ძმის სიხარულით... ადამიანი სიყვარულმა გადაარჩინა, ქრისტიანულმა სიყვარულმა მოყვასის სულში ჩახედვამ... დღეს კი... რა დაგვემართა, რა ეშმაკი შეგვიჩნდა, რომ მკურნალი სიტყვის ნაცვლად ერთმანეთისთვის მხოლოდ გულსაკლავ სიტყვებს ვიმეტებთ, მოყვასს სიყვარულის ნაცვლად სიძულვილს ვაგებებთ და ისე ვართ ჩასაფრებული, ლამის არის, ერთმანეთი დავგლიჯოთ, არაფრისთვის ყელი გამოვღადროთ ძმას, მეგობარს... ნუთუ ასე გადაგვაგვარა სამოცდაათწლიანმა ულმერთობამ, დაგვიკარგა სათნოება?! არ მინდა დავიჯერო, რომ ადამიანებს ერთმანეთი ასე გვძულდეს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. გაუტანლობას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. ავიღოთ მშრომელთა წერილები, რომლებშიც ვკითხულობთ: „ჩვენ არ მივცემთ უფლებას ვიღაც ტაქსისტმა ლალიძემ იტრაბახოს ჩვენს ქუჩას ლალიძის სახელი ჰქვია, ამიტომ გთხოვთ მას მოწამეთა სახელი უწოდოთ",—გვწერენ ჟუკოვის ქუჩის მცხოვრებლები. ეს წინადადება სხვა სახით დროულად რომ შემოსულიყო, საწინააღმდეგო არაფერი არ გვექნებოდა, მაგრამ ქუჩისთვის წარამარა სახელის შეცვლა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ მცხოვრები ლალიძე წაიტრაბახებს, ცოტა არ იყოს უხერხულიცაა; მით უმეტეს, ამა წლის 8 ივნისის პრეფექტის განკარგულებით ქუჩას უკვე ეწოდა კომპოზიტორ რევაზ ლალიძის სახელი. თითქმის იგივე ხდება გაგარინის ქუჩაზეც. მოსახლეობის ერთი ნაწილის ინიციატივით ქუჩას უნდა ეწოდოს პოეტ პავლე აკობიას სახელი, დანარჩენები კი შემოთავაზებულ წინადადებას უგულვებელყოფენ მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ცხოვრობენ აკობიები. ამასობაში ავიწყდებათ, რომ ამ სახელის უკან დგას ცნობილი სიმღერების „ჩელასა" და „სესიას" ავტორი, რეპრესირებული პოეტი.

ერთი სავალალო ტენდენციაც შეინიშნება.—გაჭირვების ჟამს ხელის მოთბობა! გაუჭირდა სახელმწიფოს სურსათით მომარაგება. აგერ არ არის კოოპერატორი, კომერსანტი?! იხეირეთ: 1 კგ შაქარი—10 მან, კარაქი—30 მან, პური—2 მან; ტანსაცმელი—ფასსაც ვერ დაასახელებ... ბაზარში ყველი—35 მანეთი გახდა, ხორცი—25 მანეთი; თავისუფლებისთვის დაღუპულთ ყვავილებით მიაგებ პატივს—თითო 5 მანეთი.

რაზეა ლაპარაკი?! არც ერთ მიტინგზე, არც ერთ შეხვედრაზე არ შევპირებივართ ხალხს ჩვენი მოსვლით ხელისუფლებაში დოვლათით აგავსებთო, პირიქით. ყოველთვის ვაცხადებდით, რომ თავისუფლების გზაზე შემდგარ საქართველოს ეკონომიკურად ძალიან გაუჭირდებოდა, იქნებოდა ეკონომიკური ბლოკადა. მაშინ ხალხი „ჩუმად" იყო, მზად იყო თავისუფლებისთვის ყველაფერი აეტანა. ახლა კი ვინ იცის ვის რა მოთხოვნები აქვს: ზოგს შაქარი და პური უნდა, ბევრს ავეჯი, ბინა, მანქანა, ტელეფონი... მძარცველებს, ნარკომანებს, ქვეყნის დამქცევლებს გვიწოდებენ. „პრეზიდენტთან" გარბიან. იქამდეც კი დაეცნენ, რომ ჩითის კაბისა და უბრალო კოსტიუმის ჩაცმასაც გვაყვედრიან

ნუ ვატკენთ გულს ერთმანეთს. ჩვეულებრივი ადამიანები ვართ. უშეცდომო არავინაა. ყველანი თუ შევცდით, ნუთუ არ შეიძლება ნორმალური მოთმინება და გაგვიზიარეთ, როგორც მოყვარეებ. ჩვენ ხომ თქვენგან არჩეული მთავრობა ვართ?!

მაგრამ რა უნდა ვთქვათ, როცა ლაპარაკია ქართველებზე, ერზე, რომელმაც გაზარდა შოთა, ილია, გალაკტიონი, კონსტანტინე, მერაბ... [illegible] ამავე დროს გააძევა, ტყვია დაუპირისპირა, გასწირა, ვერ გაუფრთხილდა...

განა ახსოვს მოყვასი იმას, ვინაც 19 აგვისტოს გაბრწყინებული სახით თქვა: „ახლა კი მოგელებათ ბოლო".

და კიდევ ერთი... გული მტკივა, როცა ვხედავ მინის, ბინის, სესხის და თქვენ წარმოიდგინეთ, მანქანის სათხოვნელად მოსულ ქალს. ნუთუ ქართულმა ოჯახმაც განიცადა დეგრადაცია? მამაკაცს ხომ ყოველთვის ჰქონდა თავისი ადგილი?! შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ქალი მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ ქალებმა ჩვენი საქმე უნდა ვიცოდეთ.

...სამოცდაათი წლის წინათ ჩვენ გაგვძარცვეს— წაგვართვეს ყველაზე ძვირფასი—ღვთის რწმენა. სწორედ ამის შედეგია, რომ დავკარგეთ მოყვასის სიყვარული უნდა ვიზრუნოთ სულის გადარჩენისთვის. დავუბრუნოთ ღმერთს... მაშინ შევიყვარებთ მოყვასს და საქართველოც გაბრწყინდება!

ალბინა გაგნიძე,

ქ. ზუგდიდის საკრებულოს მდივანი.

---

ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის

## განკარგულება

### ბრუცელიოზით დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ

როგორც აბაშის რაიონის მთავარი ვეტექიმის მიმდინარე წლის 31 აგვისტოს № 89 წერილით დასტურდება, ამ რაიონის ზოგიერთ სოფელში ადგილი აქვს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბრუცელიოზით დაავადების შემთხვევას.

ზუგდიდის რაიონში ბრუცელიოზის დაავადების გაჩენისა და მისი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

ა ი კ რ ძ ა ლ ო ს:

1. მოქალაქეებისა და ხორცის დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ როგორც ცოცხალი პირუტყვის ასევე ცხოველური წარმოშობის ყველა სახის (ხორცპროდუქტების, დაკლული ფრინველის, რძის, ყველის, ხაჭოს, მაწონის, კვერცხის) გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზარზე ამ პროდუქტებზე ჯანმრთელობის (კეთილსაიმედოობის) დამადასტურებელი ვეტერინალური მოწმობის (ცნობების) წარმოდგენის გარეშე.

2. სოფლების საკრებულოთა გამგებლებმა სოფლის მაცხოვრებლებზე ცოცხალი პირუტყვის, ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე საკუთრების მოწმობების გაცემისას წინასწარ გააფრთხილონ მოქალაქეები, რომ ისინი არ დაიშვებიან საკოლმეურნეო ბაზარზე ჯანმრთელობის (კეთილსაიმედოობის) დამადასტურებელი ვეტერინალური მოწმობის გარეშე.

3. საკოლმეურნეო ბაზრის დირექციამ ალკვეთოს კეთილსაიმედოობაზე ვეტერინარული მოწმობების წარმოდგენის გარეშე როგორც ცოცხალი პირუტყვის ასევე ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გასაყიდად დაშვება.

4. განკარგულება დაეგზავნოს ყველა სოფლის საკრებულოს კონტროლი კი მის შესრულებაზე დაევალოთ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მთავარ ვეტექიმებს ლ. ბუკიას და რ. ჭურღულიას.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი

თ. ჟორჟოლიანი

1991 წლის 9 სექტემბერი.

---

თაოსნობა

## ავუბათ მხარი

ქალაქ ზუგდიდში არის საკმაოდ დიდი ქუჩა, რომელიც იური გაგარინის სახელს ატარებს. ეს ქუჩა ხალხში შუა სამეგრელოს ქუჩითაც არის ცნობილი და კიდევაც სწორია, ამ ქუჩიდან ანაკლიამდე 30 კილომეტრია, ამდენივე მანძილია ქალაქ ჯვარამდე.

ამჯერად აღნიშნულ ქუჩაზე მცხოვრები მანდილოსნების კარგ თვისებას მინდა შევეხო: დიასახლისები თავიანთი საკარმიდამოს წინ მდებარე ტროტუარს ყოველ დილით გვიან და ქალაქის სისუფთავის დაცვის საქმეში ... კეთილშობილური ... შეაქვთ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ისინი ამას აკეთებენ საკუთარი ინიციატივით.

ამას წინათ ქალაქის ქუჩათა კომიტეტების თავმჯდომარეებსა და აქტივს შეხვედრა გვქონდა უზენაესი საბჭოს დეპუტატთან, ზუგდიდის პრეფექტთან, ბატონ თ. ჟორჟოლიანთან. ამ შეხვედრაზე პედაგოგმა ნ. გუჩუამ აღნიშნა, რომ გაგარინის ქუჩა ყოველ დილით სუფთავდებაო დიასახლისების მიერ. მათ კეთილ წამოწყებას დადებითი შეფასება მიეცა. მაშ, ავუბათ მხარი გაგარინის ქუჩაზე მცხოვრები მანდილოსნების თაოსნობას, ძვირფასო ზუგდიდელო დიასახლისებო.

ალ. პაპავა,

ცოტნე დადიანის ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე.

---

პროფკავშირი: ხვალინდელი დღის კონტურები

## გავხადოთ სიცოცხლისუნარიანი

ყოველი ჩვენგანი მოწმე და მონაწილეა იმ თვისობრივი განახლებისა რასაც ადგილი აქვს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. ათეულ წლობით გამეფებული მმართველობის ავტორიტარული სისტემა სულ უფრო და უფრო ამჟღავნებს თავის არასიცოცხლისუნარიანობას. საზოგადოებას შინაგანად, ფსიქოლოგიურად იპყრობს არსებული დოგმატური, ბიუროკრატიული სტრუქტურებისადმი შეუგუებლობის სინდრომი. თანმიმდევრულად ხორციელდება ცხოველმყოფელი, მრავალმხრივი და ინტენსიური პროცესი, რომლის არსში დევს ამოსავალი პრინციპი: საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დამკვიდრდეს დემოკრატიული ინსტიტუტები, პიროვნება განთავისუფლდეს დირექტიული ხუნდებისაგან. ხალხის პოლიტიკური ცნობიერება საკმაოდ მომზადდა საიმისოდ, რომ ცხოვრებისა და შრომის წესი, ადამიანური, თუ ეკონომიკური ურთიერთობის დამკვიდრებული უვარგისი ტრადიცია უნდა მოიშალოს და გზა მიეცეს რადიკალურად ახალ სისტემას.

დღესაც ყველასათვის ცხადი ხდება ისიც, თუ რამდენად ავნო საბჭოთა იმპერიაში გამეფებულმა კომუნისტურმა დიქტატურამ თავისი არსით ისეთ ცოცხალ და ნებაყოფლობით სახალხო ორგანოს, როგორც პროფკავშირია. წლების მანძილზე ამ ორგანოსათვის მზაკვრულად იქნა აკრული ყალბი აზრა მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლი ფორმირებისა. ფაქტიურად კი ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მისთვის გამოეცალათ ჭეშმარიტი შინაარსი. ოაერთმიათ კონსტიტუციური უფლებები, ნამდვილი ფუნქცია. ნებისმიერი დონის პროფკავშირულმა მუშაკმა თავის თავზე გამოსცადა პროფკავშირის ავტორიტეტისა და როლის დევალვაციის მტანჯველი და შეურაცხმყოფელი პროცესი, რომლითაც ისინი სახელმწიფო, თუ სამეურნეო ორგანოების ერთგვარ დამატებად იყო ქცეული. ამ წლების განმავლობაში ამ მასობრივმა ორგანიზაციამ მხოლოდ მცირედი, უმნიშვნელო როლის შესრულება შეძლო მშრომელთა ინტერესების საკეთილდღეოდ. შეზღუდული უფლებების ფარგლებში დატოვებული ადამიანები სინამდვილეში გადაიქცნენ ხელ-ფეხშებორკილ ფუნქციონერებად.

რესპუბლიკის პროფკავშირი რადიკალური გარდაქმნების წინაშეა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის დეცენტრალიზაციის ტენდენცია სრულიად ახალ, ფართო ხარბიელს უქმნის პროფკავშირსაც: თვით ცხოვრებაში მიმდინარე დინამიური პროცესი წარმოშობს იმის წინამძღვრებს რომ ამ მასობრივ ორგანიზაციას მიენიჭოს რეალური ძალაუფლება, გაფართოვდეს მისი სუვერენულობისა და დამოუკიდებლობის საზღვრები.

ამასთან დგება პრობლემა: როგორ გავიზიაროთ ცნება „დამოუკიდებლობა". ალბათ, დიალექტიკის ჭრილში. პროფკავშირმა მთელი ძალით უნდა აამოქმედოს თავისი საიმედო ინსტრუმენტი-ადმინისტრაციასთან ხელშეკრულების დადების ფაქტორი. უნდა განხორციელდეს კონტროლი ამ დოკუმენტის შესრულებაზე. ფაქტიურად ორივე მხარე ერთმანეთზე დამოკიდებული, ურთიერთვალდებული ხდება. საკმარისია ამგვარი თანხმობა ქაღალდზე დარჩეს და იკარგება თვით პარტნიორობის დედააზრი.

პროფკავშირული სისტემაში ამ ლადად შექმნილ პლურალისტურ ატმოსფეროს უდაოდ მოყვება მართვის ერთიანი, ოპტიმალური სტრუქტურის შექმნა. სანამ საბოლოოდ ჩამოყალიბდება ერთიანი წესდება, განსხვავებული მოდელების დაპირისპირებისა და შეჯერების პროცესს სიკეთე უნდა მოჰყვეს.

ამ ეტაპზე საყოველთაო დაინტერესებისა და განხილვის საგანი ხდება პროფგაერთიანების შექმნა რეგიონებში. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ახალი სტრუქტურა მისადაგებულია რესპუბლიკაში ამჟამად არსებულ სიტუაციასთან. მასში დევს ის ქმედითუნარიანი ბერკეტები, რომლითაც შესაძლებელი გახდება დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპის სწორად შეთავსება და რაც არსებითია, ღონისძიებების ეფექტიანად კოორდინირება.

რა მდგომარეობა იკვეთება ჩვენი რეგიონის სინამდვილეში? მიუხედავად ერთგვარი სიახლეებისა, ადგილზე მოქმედი ექვსი დარგობრივი პროფკავშირი საკუთარი სახსრებით შორს დგას სასურველი დონისაგან უჭირთ სახსრების წყაროების პოვნა. მათი ძალისხმევა მშრომელთა სოციალური პირობების, დასვენების გაუმჯობესების თვალსაზრისით მეტწილად უწყების ყრუ კედელს აწყდება. მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა მოდუნდეს მუშაობა ამ მიმართულებით.

ახლახან დამთავრებულ პროფკავშირულ ყრილობაზე მუშაობის ახალი ორიენტირები გამოიკვეთა და ამ სიახლეთა კვალობაზე პროფკავშირს გაეხსნება ახალი გზები გაცილებით უფრო ეფექტური სტრუქტურების დასამკვიდრებლად. ეს კი მოგვცემს საშუალებას შემოქმედებითად მივუდგეთ ჩვენს წინ არსებული პრობლემების გადაწყვეტას, ქმედითი, მომგებიანი და სიცოცხლისუნარიანი სამოქმედო სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავების საქმეს.

სადღეისო აქტუალურ თემაზე

# რომ წარმოჩნდეს საკრებულოს ავტორიტეტი

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობას, ასევე ადამიანთა სხვა კატეგორიებს, ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი მონური მორჩილების გრძნობა სამეურნეო საქმის ხელმძღვანელებისადმი, აპარატის მუშაკებისადმი, რასაც ნერგავდა საბჭოური სისტემა მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში.

წლების მანძილზე საუკეთესო პირობები, ყოველგვარი პრივილეგიები მოქცეული იყო პარტოკრატიის გამგებლობაში, რამაც დაამახინჯა ადამიანთა სული მორალურად და ფსიქოლოგიურად. ბევრი საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით გახდა ბიუროკრატიული აპარატის თვალისმომყურე, შეიძლება ითქვას მლიქვნელი.

ჯანსაღი შეხედულების, ადამიანური განწყობის დაბრუნებას წლები სჭირდება. საბედნიეროდ ეს პროცესი დაწყებულია. საკრებულოს წევრთა პირდაპირი დანიშნულება ამ მანკიერებასთან პირისპირი ბრძოლაა.

საჭიროა მასებმა შეიცნონ, რომ საკრებულოები ეროვნული მიკროპოლიტიკის გამტარებლები არიან სოფლად თუ ქალაქად.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარებისათვის, მისი მორალური სიჯანსაღისათვის, განაგებს სოფლის ქონებასა და ფინანსებს, უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლებასა და უფლებების დაცვას, იცავს კანონიერებასა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს, არეგულირებს კანონის ფარგლებში მიწის საკითხებს და სხვა.

საკრებულოს გამგეობა გამგებელ-აღმასრულებელი ორგანოა, რომლის გადაწყვეტილებების ხორცშესხმა ხდება გამგებლის განკარგულებებით, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ყველა სამთავრობო დადგენილების შესრულებისათვის ზრუნვა მისი უპირველესი ამოცანაა.

კომუნისტური რეჟიმის დროს „საბჭოს" ქაღალდზე თითქმის ისეთივე კომპეტენცია ჰქონდა, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ „საბჭოს" აპარატი სრულ დაქვემდებარებაში ჰყავდა სამეურნეო ხელმძღვანელობას და საქმის განმკარგულებლებიც თვითონვე გახლდნენ.

ხალხის მიერ არჩეულ საკრებულოს და არა დანიშნულ ყოფილი „საბჭოს" ფუნქციები არ უნდა იქნას გაიგივებული ერთმანეთთან, ხალხმა გაიგოს უნდა, რომ მათ მიერ არჩეული საკრებულო, გამგებელი ნამდვილად არის ქართული ეროვნული პოლიტიკის გამტარებელი. ამისათვის კი აუცილებელია საკრებულოს თითოეული წევრი იყოს პატიოსანი, სამართლიანი, თავისი საქმის კომპეტენტური, სარგებლობდეს დამსახურებული ავტორიტეტით, იყოს თავმდაბალი.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ფაქტები იმისა, რომ ამა თუ იმ საკრებულოს წევრი, ან აპარატის მუშაკი იქცევა გამომწვევად, ითხოვს პრივილეგიებს. ეს ყველაფერი წვრილმანი თუ დიდი, ამცირებს ხალხის თვალში საკრებულოს ავტორიტეტს, რაც ეროვნული საქმის ხელყოფის ტოლფასია.

სხვა ღონისძიებებთან ერთად, რომ წარმოჩინდეს საკრებულოს ავტორიტეტი, მის დაქვემდებარებაში უნდა იყოს ყოველნაირი კომუნიკაციები, ტრანსპორტი, მართვის სხვა საშუალებანი, შენობები და სხვა, რასაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ხალხის თვალში. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურებს, რომ სოფლის პოლიტიკური და ეკონომიკური ხელმძღვანელია საკრებულო, რომ ის არ არის ძველი „საბჭო". ამით ხალხის რწმენა ერთხელ კიდევ განმტკიცდება. მაგრამ დღეის მდგომარეობით თითქმის ყველა ეკონომიკური ბერკეტები ყოფილი კომუნისტების, მათთან ახლო მდგომთა ხელშია. მათ შეინარჩუნეს თანამდებობები. სიმართლეც უნდა ითქვას, ისინი შესაძლოა მეტი კომპეტენტურიც იყვნენ. ნათქვამი ეხება ყველა იმათ, ვინც ილვწოდა პირადი გამდიდრებისათვის, ქონების მოხვეჭისათვის. უდაოა, რომ ყველა ისინი ეცდება ხელი შეუშალოს ეროვნულ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, ამ უბანზეც თანმიმდევრული ბრძოლაა საჭირო.

ერთი სიტყვით ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ როგორ უნდა მოუაროს სოფელს, მის სოციალურ სფეროს, ეკოლოგიას, ეკონომიკას საკრებულომ, გამგებელმა თუ მის ხელში არაა ტრანსპორტი და იძულებულია ნათხოვარი მანქანით მოუაროს სოფლის სატკივარს.

გარდამავალი პერიოდის მრავალი პრობლემის წარმოჩენა ნაწილობრივ მოქმედებს მართვის სისტემაზე, მაგრამ ჯანსაღი საკრებულო, მისი გამგებელი მოვლენათა შეფასებით, სადღეისო ნომერ პირველ ამოცანათა გადაწყვეტით მოიხვეჭს ავტორიტეტს, ხალხის ნდობას.

რუხის საკრებულო მრავალ ახალ თაოსნობათა გამტარებელი და შემსრულებელია. ამის განხორციელებაში ხელს თვით ხალხი გვიწყობს, ხალხი, რომელიც სავსებით მიენდობა დღევანდელ პარლამენტს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას. ამას წინათ ჩატარებულ რუხის საკრებულოს აგვისტოს სესიაზე უფლება-მოსილება ჩამოერთვათ კომუნისტური პლატფორმის დეპუტატებს, გაირჩა სხვა საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც მოიცავდა როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე სოფლის სოციალური სფეროს წინსვლის საკითხებს,

—სოფლის საკრებულო—სოფლის სამსახურში! ასეთია ჩვენი სამოქმედო დევიზი.

ა. თოდუა,
რუხის გამგებელი.

# რეზერვების მაქსიმალურ მობილიზაციას მოითხოვს

დღევანდელ რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში გატარებული ღონისძიებების შედეგად მიღწეულ იქნა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ქალაქისა და რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის 101 პროცენტით შესრულება. აღნიშნული ძირითადში უზრუნველყოფილ იქნა ადგილობრივი წყაროებიდან შემოსავლების გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულებით.

რეგიონის მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების (გარდა ვაჭრობისა) მუშაკთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათმა უმრავლესობამ თავი გაართვა ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესრულებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა კოოპერატივებიდან მოგების გადასახადის, დანარჩენი გადამხდელებიდან (პატენტებიდან) საშემოსავლო გადასახადის და სახელმწიფო ბაჟის გეგმები. მარტო ამ სამ სახეში გეგმის ზევით მივიღეთ 2027 ათასი მანეთი. მიუხედავად ამისა, კოოპერაციულ და კერძო სექტორში მდგომარეობის ანალიზი მოწმობს, რომ აქ გეგმების გადაჭარბებით შესრულება მიღწეულია არა იმდენად შესაბამისი სამსახურების მხრივ მათ საქმიანობაზე კონტროლის გაძლიერების, არამედ უფრო მეტად გასულ წელთან შედარებით რეგისტრაციაში გატარებული კოოპერატივების და კერძო მრეწველობის რიცხობრივი რაოდენობის გადიდებით. როგორც შემოწმების მასალები მოწმობენ კოოპერატივების საქმიანობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნეგატიურ მოვლენებს, მათი უმრავლესობა უხეშად არღვევს ამოგების თანხების ბანკში ჩაბარების დადგენილ წესს, ჩაშლილი აქვს აღრიცხვა-ანგარიშგება, არის აღურიცხავი საქონლით ვაჭრობის შემოსავლების გადამალვის და სხვა სახის დარღვევები, რითაც ადგილობრივ ბიუჯეტს აკლდება სოლიდური თანხები.

მიმდინარე წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება ერთი წუთით არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას, ვინაიდან დაგეგმილი ვართ 8612 ათასი მანეთის დეფიციტით და პირველ ნახევარში შევძელით მხოლოდ 114 ათასი მანეთით გადაფარვა. რომ არ გვქონოდა წლის დასაწყისისათვის შემოსავლების მეტობა ხარჯებზე (ჭარბი შემოსავლები) ძალიან გაგვიჭირდებოდა ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება. ამდენად წლის მეორე ნახევარში უფრო მეტი სირთულეების წინაშე ვდგევართ, რომლის დაძლევა მოითხოვს რეზერვების ასამოქმედებლად მაქსიმალურ მობილიზაციას.

ცუდი ფინანსური მდგომარეობა აქვთ შექმნილი ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებს, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველომ დაგეგმილი 500 ათასი მანეთის მოგების ნაცვლად მიიღო ზარალი 664 ათასი მანეთი, საზ. კვების გაერთიანება დაგეგმილი იყო მოგებით, ფაქტიურად 6 თვე 309 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა. ამ მიზეზით ადგილობრივმა ბიუჯეტმა ვერ მიიღო ვაჭრობის მოგებიდან დაგეგმილი ანარიცხი 292,6 ათასი მანეთი.

სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდში დაგეგმილი თანხების შემოსავლების საქმეში. აქ 2374,2 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულებამ მხოლოდ 840 ათასი მანეთი შეადგინა. აღნიშნული ნაწილობრივ გამოწვეულია ამ ფონდში შემოსავლების არარეალურად დაგეგმარებითაც. ასე მაგალითად: ვაჭრობის სამმართველოს გეგმით გათვალისწინებული აქვს 1991 წლის პირველი იანვრისათვის არსებული მატერიალური სტიმულირების ფონდის თავისუფალ ნაშთად ბიუჯეტში 548 ათასი მანეთის ჩარიცხვა, მაშინ როდესაც სამმართველოს სტიმულირების ფონდში თავისუფალი თანხა საერთოდ არ ერიცხება.

მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ რესპუბლიკის მთავრობამ ამას წინათ დაამტკიცა 1991 წლისათვის საგანგებო ბიუჯეტი, რომლის მიხედვით ხელფასების მოწესრიგების და კომპენსაციების თანხების გათვალისწინების შემდეგ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ბიუჯეტი 25 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 41 მილიონ მანეთამდე. ამასთან სხვაობის 16 მილიონი მანეთის დაფარვა მთლიანად ნავარაუდევია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

შექმნილი ვითარება საფინანსო განყოფილების და სხვა ეკონომიკური სამსახურის მუშაკებისაგან მოითხოვს მუშაობის მკვეთრად გარდაქმნას, საჭიროა უფრო ღრმად ვსწავლობდეთ საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას და ვამუშავებდეთ შრომით კოლექტივებთან ერთად წინადადებებს ფინანსიური სიძნელეების დასაძლევად.

თავის მხრივ საბიუჯეტო დაწესებულებებმა მეტი ყაირათიანობა უნდა გამოიჩინონ და უზრუნველყონ საბიუჯეტო სახსრების თითოეული მანეთის მიზნობრივი ხარჯვა.

თ. ნაჭარიძე.
ზუგდიდის ზონის საფინანსო განყოფილების საბიუჯეტო განყოფილების უფროსი.

სასწავლებელი 30 წლისაა

# აქ ასობით სპეციალისტი დაფრთიანდა

ოცდაათი წელი გავიდა ქ. ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატის დაარსების დღიდან. რა არის ოცდაათი წელი? პასუხად მახსენდება პოეტის სიტყვები: „წარსულზე ფიქრი მართლაც სულ სხვაა, გზები წამებში გადასაფრენი, იქიდან აქეთ რამდენი გზაა, აქედან იქით არაფერი".

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ ხნის მანძილზე გაწეული მუშაობის ანალიზი. გვინდა მხოლოდ ზოგიერთი არსებითი ხასიათის ფაქტები წარმოვაჩინოთ დაარსებიდან დღემდე.

თავდაპირველად სკოლა-ინტერნატი 8 ფინანსიური კლასით 220 მოსწავლისათვის იყო დაგეგმილი. მაგრამ ბავშვთა მოზღვავებული კონტინგენტი აიძულებდა სკოლის დირექციას და ქალაქის ხელმძღვანელობას კორექტივები შეეტანა თავის საქმიანობაში. თავი იჩინა მრავალმა პრობლემამ. არსებული ერთი სასწავლო-საძინებელი კორპუსი სრულებით ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. არ გვქონდა სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, გასართობი ოთახები და ა. შ. ამან და სხვა მომენტებმა განაპირობა სამსართულიანი საძინებელი კორპუსის აგება 420 აღსაზრდელისათვის. განმტკიცდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დიდი ყურადღება დაეთმო როგორც სასწავლო - საალმზრდელო, ისე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის, დღის მეორე ნახევარში სწავლების ორგანიზაციის, აღსაზრდელთა ჯანმრთელობისა და კვების ბლოკის სრულყოფის საკითხებს. კეთილმოწყობილ იქნა სკოლის ეზო, რომელიც დღეს ფაქტიურად სანიტ-ტყეპარკად არის ქცეული. ყოველივე ამაში კოლექტივს მხარში ედგა ქალაქის განათლების განყოფილება.

დაარსების დღიდან 800-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო სკოლა-ინტერნატიდან ცხოვრების საგზური. განვლილი დროის მანძილზე ინტერნატის კედლებმა სამუდამოდ შემოინახა არაერთი მასწავლებლის, თუ აღმზრდელის ნათელი ხსოვნა. ძველი გუნდიდან დღემდე ენერგიულად ილვწიან თ. კაკულია, ნ. ჯაბუა, ზ. უბილავა, გ. ესებუა, ნ. გერგედავა და სხვები. დღეს სკოლა-ინტერნატში აღმზრდელ-მასწავლებელთა უმრავლესობა ახალგაზრდობაა. მრავალთა შორის აღსანიშნავია ლ. ხუფენიას, ნ. ჩუხუას, მ. ბერულავას და სხვათა კეთილსინდისიერი შრომა.

ამჟამად სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ხ. ავალიანი, სასწავლო ნაწილის გამგე ვ. აქუბარდია) ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეთა ნორმალური სწავლა-აღზრდისათვის. გასული წლიდან ჩვენი სასწავლებელი საშუალო სკოლა-ინტერნატად გადაკეთდა. ამჟამად აქ 17 ფინანსიური კლასია სამასამდე აღსაზრდელით. შედეგებიც სახეზეა, კოლექტივი თავდადებით ილვწის სასწავლო-საალმზრდელო პროცესის თვისობრივად განახლებისათვის. ყველაფერი ეს უეჭველად ამაღლებს სკოლის ავტორიტეტს.

განვლილი დროის მანძილზე სკოლა-ინტერნატში დირექტორებად და სასწავლო ნაწილის გამგეებად ნაყოფიერად მუშაობდნენ: ა. გერგედავა, ვ. ჯინჯოლავა, ხ. ბილათურია, კ. სახურია, დ. დაგარგულია, ი. ჭანტურია, ვ. ნაჭყებია, ი. ედიგაროვა.

ა. ქირია,
ინტერნატის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხელ კვალზე მიაგნეს

1 სექტემბერს, საღამოს საათებში ქ. ზუგდიდის №2 საავადმყოფოს სტომატოლოგიური კაბინეტი გატეხილ იქნა დაუდგენელი პირების მიერ. ქურდებმა გაიტაცეს სამედიცინო აღჭურვილობა, გაანადგურეს აპარატურა.

დამნაშავეების დასადგენად მივმართეთ ახლადშექმნილ შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო რაიგანყოფილების ქვეგანყოფილებას. სასწრაფოდ შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი და დამნაშავეებს ცხელ კვალზე მიაგნეს. გაძარცული სამედიცინო აღჭურვილობა უკლებლივ დაუბრუნდა საავადმყოფოს.

ენგურქაღალდკომბინატის მედსანნაწილის კოლექტივი გულითად მადლობას სწირავს შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს ოპერატიული მოქმედებისათვის, მამაცური შრომისათვის.

**რედაქტორი**
**პ. ჭანტურია.**

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმეტოლოგი კიეველი ნინა ივ
1 დეკემბრამდე პაციენტებს ღებულობს შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, პლეხანოვის ქუჩა №24, ყოველდღე გარდა ორშაბათისა. დილის 9 საათიდან 14 საათამდე (ბინაში სანიტნორმები დაცულია, საფინანსო განყოფილების მიერ დაბეგრილია).

ექიმი კურნავს თმრკმლებს, ლვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას უტარებს სახის კანის დაავადებებზე.

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი
(დავით აღმაშენებლის ქუჩა №4)
საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
(უმაღლესი ჯგუფი)

16 სექტემბერი —სათადარიგო შემადგენლობა
„ოდიში" ზუგდიდი— „იბერია" თბილისი
დასაწყისი 16 საათზე

17 სექტემბერი —ძირითადი შემადგენლობა
„ოდიში" ზუგდიდი—„იბერია" თბილისი
დასაწყისი 17 საათზე.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში სათადარიგო შემადგენლობის თამაში გაიმართება ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის სტადიონზე.

სტადიონზე შესასვლელი და ლატარიის ბილეთები გაიყიდება ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის სალაროებში, 11, 17 სექტემბერს დილის 10 საათიდან. შედგება ლატარიის გათამაშება, რომელიც ჩატარდება ფეხბურთის დამთავრების შემდეგ. 17 სექტემბერს გათამაშდება შემდეგი მოგებები: ფერადი ტელევიზორები, სარეცხი მანქანები, ველოტრენაჟორები.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში".

მოსახლეობას ვაუწყებთ, რომ სახალხო დღესასწაული—ჯარალუა, რომელიც უნდა გამართულიყო მიმდინარე წლის 15 სექტემბერს ობიექტური მიზეზების გამო გადადებულია.

საზოგადოება „აიას" გამგეობა.

ქ. ზუგდიდის №8 საშუალო სკოლის მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეთა ბაზაზე იხსნება ფიზიკა-მათემატიკის პროფილირებული კლასები. მოსწავლეთა ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრებით. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებმაც ჩააბარეს მისაღები გამოცდები აღნიშნული პროფილის მქონე სკოლებში (ქ. ზუგდიდის №2, №9 და პროფილირებულ-ექსპერიმენტული სკოლა). სავნის მასწავლებლებად დაინიშნებიან: თ. ახალაია, ხ. გაბელია, რ. ლოგუა, გ. პაპავა.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას.

---

მეუღლე რევაზი. შვილები: მარიკა. ჯონი მესხიები. დედა მარგო, მამა მიშა. ძმა ჯემალი. და ციალა ქობალიები. დიდდედა ბაბუცა, მული ამალი. მაზლები: დემური. ანზორი. მარლონი. რძლები: ციალა ქობალია. მიმოზა. დარიკო. მარინა მესხიები. სიძეები: პოლიკო კაკაჩია, ლოთი მურღულია, ძმისშვილები ინგა, გიგა ქობალიები, დისშვილები: ხათუნა, ვეფხვია კაკაჩიები, მაზლიშვილები, მულიშვილები, დიდდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახით იუწყებიან

**არმინდა მიშას ასულ ქობალია-მესხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 სექტემბერს. დაკრძალვა 17 სექტემბერს სოფ. ნარაზენში.

---

მეუღლე ზინა. შვილები მამუკა. ნინელი ნატო, შვილიშვილები: მალხაზი, მანუჩარი, მარეხი, გიორგი. ლილე. ძმა ხუხუტი, და მარგო. მამიდა ქსენია, სიძეები რევაზი იზორია. დური გედენიძე. ძმისშვილები ეკა. ელისო. ემირი. დისშვილები დარეჯანი. ლარისა. ნონა. ომეხი, რძლები: ხათუნა ნაჭიშილი ლიანა როგავა, ცოლისძმა ვალოდია გულორდავა, ავთო, თამაზი, როლანდი კვარაცხელიები, ცოლისძმისშვილები: აბესალომი. ავთანდილი. მზისა. თინათინი გულორდავები რძალი გულნარა გულორდავა, ბიძაშვილები. დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**შოთა ხარიტონის ძე მურღულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15. 16 სექტემბერს. დაკრძალვა 17 სექტემბერს სოფ. კორცხელში.

---

მეუღლე ამირანი, შვილები: პაპუნა. მაკა. იკა. ძმები: კოტე. ჯემალი. დები: ლიანა, ჯული მურღულიები, მამიდა საშა. მაზლები: დურუ. მირიანი, ბონდო გოგოხიები, რძლები ქეთო, ლონდა, ზოია. დინარა. მერი. ძმისშვილები თემური. ზურაბი. ბესიკი მურღულიები. დისშვილები ირმა. მარინა სურმავები. მაზლიშვილები: პარმენი. ოთარი. კოჩია, გოჩა. მიმოზა. მანანა. ბესიკი, ბექანა გოგოხიები. ბიძაშვილები გენო. ანელა. ჯონი, ნათელა. შურა. ზაური. ომარი მურღულიები. მამიდაშვილები: გურამი. გივი. აბელი ბულიები, რევაზი. ანზორი თავალანძეები. დეიდაშვილები იმზარი. დოდო. გენო. ოთარი ჩილაჩავები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნარგიზა ივლონის ასულ მურღულია-გოგოხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14. 15 სექტემბერს. დაკრძალვა 17 სექტემბერს. გამოსვენება პაპანინის მეოთხე შესახვევი 9.

---

შვილები ჯუმბერი, ნინა. რძლები ზოია. ლუბა. ცისანა. შვილიშვილები: ნოდარი; როზგენი. ნოდარი, კახა. ინგა ქობალიები, სოსო. მზია. მაია ბულიები, დისშვილები: მიშა. შოდო. ჟორჟი. ლუნა, ბელა. სიძეები: გოგი ტაბალუა, ლევანი აკობია, მაზლიშვილი გიგლა ქირია და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლოლა ბახვას ასულ ქვარაცხელია-ქობალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14. 15 სექტემბერს. დაკრძალვა 17 სექტემბერს სოფ. ინგირში (ოირ ემი).

---

მეუღლე ლიანა, შვილები: ჯამბული, ინეზა. ლალი. ნინო. მიმოზა. მანანა, ძმები: ვაჟა, ჯიმშერი. დები: გული. ლამარა, შვილიშვილები: დათა, სოფო ნავეიშვილები. ხვიჩა. დათო, თეა კაცაძეები. ზვიადი, ვიკა გულუები. მანუჩარი, გიზო კუპრავები. ნათუნა, ნათია. ხატია ლუკავები. სიძეები: იროდი ჟვანია. ორდენი სოხაძე. იურა კაცაძე. რევაზი კუპრავა. ნუგზარი გულუა. რაული ლუკავა იუწყებიან

**ბურდა სოლომონის ძე ნავეიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15. 16 სექტემბერს. დაკრძალვა 17 სექტემბერს ს. დარჩელში.

---

შვილები: მაყვალა. ხუხუტი, ვაჟა. და ტატი. ძმისშვილები: ალიოშა, ჟორა ცხონდიები. დისშვილები: ნათელა. ციალა. გობრონი მაქაცარიები. გოგოლა. პარტყუ. ვარდო. ინელი. გურამი, ზური თირქიები. რძლები: დუშა, ლუნა, ჟენია. ნაზო. მანანა. ნანა. როზა. სიძეები: ხუტა მებონია, ბესო ცანავა. ვილოდი პაპავა, როლანდი შელია. მაზლიშვილები: ნაზია. გივი. გელოდი შენგელიები. მულიშვილები: ნათელა. მამია. მაერა ბეშიები. თინიკო თოფურიანი. შვილიშვილები: მამუკა. რაული. იკა. რომანი. ლიელა. რამაზი, ლიანა. როლანდი, იური. სერიოჟა. მარინა. გოთერძი. ბიძაშვილები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ქვათა ალექსის ასულ ცხონდია-შენგელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14 სექტემბერს დაკრძალვა 15 სექტემბერს ჭიხაშკარში.

---

ძმისშვილები: გოხერი. კანდი. ცთერი. ნელი. ლამარა. დისშვილები: კემი. ორდენი. ენვერი. თეზიკო სამუშიები. რადიონ ჯოჯუა. რძლები: ქსენია. იზოლდა. ჯულიეტა. ნინელი. თამარი. ჟუნა. სიძეები: ბონდო შანავა, ნუგზარ გოგილავა. ბიძაშვილები: ძაბა, ბიჭიკო. ადამური. რუდა. ნათელა ძმცეიშვილები. ბარნობა, ნოდარი, კონდრა. გენო. ჟიენო. ვალია. იპოლიტე. ვალიკო. ციცია. ჭურია. როზა ჭითანავები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ფაცია კოსტას ასულ ძიმცეიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14. 15 სექტემბერს. დაკრძალვა 17 სექტემბერს სოფელ ჩხორიაში.

---

ინგირის კოლმეურნეობის მშრომელები. აპარატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ივანე არჩილის ძე სხულუხიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ოდიშის მეორე საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყება

**შალვა მალხაზის ძე ანთელავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ია გიგანს მამის

**სანდრო გიგანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ალიოშა, შვილები ილისო. ასმათი. მანანა. ლამზირა ჯიქიები. სიძეები ომარ ლომაია. რაულ ჯურხაძე, შვილიშვილები: სოფიკო. ალიკა. ნინო ლომაიები. გიგა ჩხაიძე. სალომე ჯურხაძე. დისშვილები: სერჟი. ლამარა. ჟუჟუნა. თენგიზი ქირიები. ნონა ჩიქობავა. ძმისშვილები: თამარი. როსტევან მაქაცარიები. რძალი ნაზიკო-ლატარია. მულიშვილები: როზა. გენო. ჯემალი ჯანაშიები, ბორისი. ზურაბი ნარსიები. მაზლიშვილები ჟორა. გულნარა ჯიქიები. რძლები: მაყვალა გაჩეჩილაძე. მაია ხვეცურიანი. ელისო ყალიჩავა. სიძეები: გივი აფხაზავა. გურამ საჯაია. ანატოლ ლაგვილავა. მზახლები: ვალერიანი ლომაია. ომიკო. ლიანა ჯურხაძეები, ახლობელი ნათესავები იუწყებიან

**მარგო (ცუცა) იაკის ასულ მაქაცარია-ჯიქიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14. 15 სექტემბერს. გამოსვენება 17 სექტემბერს. ქ. ზუგდიდი. კოლხიდის ქუჩა 27. დაკრძალვა რკინიგზის სასაფლაოზე.

---

დედა ელისო. მამა დოური ფიფია. ძმა მამუკა. ბებია ქეთო ჩხეტიანი, ბაბუა მეგონა ფიფია. ბიძია ოთარი ფიფია. ბიცოლა ნანა. ბიძაშვილები დათა. და თეა. ბიძაშვილები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ბესიკ დოურის ძე ფიფიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 სექტემბერს 18 საათზე. ქ. ზუგდიდი. გოგებაშვილის 48.

---

დედა ვალია. მამა. ბოჩიკო. ძმა რევაზი. დები ჯულიეტა. აბეზარა. ჯეირანი. სვეტა. რძალი ნინო კვარაცხელია, სიძეები თემურ ფილავა. მურთაზ ლიპარტია. ბესიკ ფირცხელავა. ძმისშვილი ბაჩანა. დისშვილები: დათო. იკა. ლექსო. ნათია. ზურიკო. მაკა, ბიძა გიგი ჭანია, ბიცოლები იალია კოლუა. ტანია ჭანია. ბიძაშვილები: როზა. დარეჯანი. ველოდი. მერაბი კოდუები. სვეტა. ვალერი. ილუშა ჭანიები. დეიდაშვილები: კუკური. ნათელა პაპასქირიები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ქეთინო ბოჩიას ასულ კოდუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14. 15 სექტემბერს. დაკრძალვა 17 სექტემბერს 18 საათზე. გამოსვენება ერისთავის ქ. 41.

---

და ნატო. ძმა ბუთხუზი. მამიდა მარუსია. ბებია ლიზიკო, დეიდები: ჟუჟუნა, ფერიკო, დიანა. ბიძია ვანიჩკა არნანიები. ბიძაშვილები: გონელი. გურამი. ავთო, ნორა ჟუნა. მიშიკო. ვიქტორია. გოჩა, ხათუნა. მარინა, ნატაშა ძანძავები, ნელი, იახტანგი, ჯუმბერი, ლერი, ჯემალი ჩოკორაიები იუწყებიან

**რეზო გერმანის ძე ძანძავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 სექტემბერს. გამოსვენება ზუგდიდი, რუსთაველის 355.

---

კახათის №1 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება

**ჯუმბერ ჟორჟის ძე კაკულიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: ბონდო. ნათელა. ამალი. ზოია. ძმა სევერიანე. დები თამარა. მინუცა. შვილიშვილები: ზემფირა სხულუხია. მარინა, ასმათი, დათო ხარებავები, ლელა. მანანა ყალიჩავები, ინგა, გოდერძი თორიები. სიძეები ვაგნერი ხარებავა. მიდენი ყალიჩავა, ვალერი თორია. ტარიელ ესართია. თელიქსი გულორდავა, დომენტი პაჭკორია, დისშვილები გიგლა. ნილო, ციალა. გენო, ტრისტანი პაჭკორიები, გენო, კლარა ჯიქიები, ლუსიანი. თინიკო, იმედო კვირიები. ძმისშვილები: დინარა, ივერი. ანზორი. თრინელა. რომანი, ჯონი სხულუხიები. ნინელი. მარინა ჯვარამიები, შვილთაშვილები: თათია, დათა გულორდავები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ივანე არჩილის ძე სხულუხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14 სექტემბერს. დაკრძალვა 15 სექტემბერს. გამოსვენება 18 საათზე. სოფ. ინგირი წერეთლის ქუჩა 23.

---

სამტრედიის რკინიგზის მუშათა მომარაგების განყოფილების ზუგდიდის მაღაზია „მზიურის" კოლექტივი იუწყება

**თორნიკე მიხეილის ძე ყალიჩავას**

გარდაცვალებას.

---

ზუგდიდის ოქინის ქარხნის კოლექტივი იუწყება

**ნუცა გიორგის ასულ ძიმისტარაშვილი - წყაროზიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის №20 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან

**ქეთინო ბრჩიას ასულ კოდუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დები: ფლორენცია. ციალა. ძმა თორნიკე ქობალია. რძლები პოლინა ჩაჩიბაია. მზია მიქავა. ძმისშვილები ილდარი. დალი ქობალიები, დისშვილები: ენძელა. ია. გოგონა, ბორისი, ნანა. ემა. გოდერძი. რობერტი მანიები. სიძეები: მანია. ვიჟა მანია. ზურაბ შონია. ჯამბულ ჯანაშია. ალიკა სიჭინავა. ედემი ბერიძე. ნოდარ ქიქიაშვილი. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**კარლო (თათუ) ისაკის ძე ქობალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14 სექტემბერს. გამოსვენება 15 სექტემბერს ქ. ზუგდიდი, სარაჯიშვილის ქ. 4, დაკრძალვა 17 საათზე კორცხელის სასაფლაოზე.

---

შვილები: ეთერი. ნონა, ვალიკო. ომიკო, რძლები: მზია ფაჩავა. ბელა მაქაცარია, ანელა ქობალია, ეკა თოდუა. ია მჟავანაძე, სიძეები: ნური იმნაძე. პალიკო ხუბუა. გივი სამხარაძე, შვილიშვილები: ნანა. ირინა, ქეთევანი, სალომე, კახა. ირაკლი, მამუკა, ჯამბული. დისშვილები: ნინო. მარგო, ჯემალი. ნოდარი ქობალიები, ლადო. ლიანი სამხარაძეები, შვილთაშვილები: ანა, ანუკა, ლაშა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**ვარო (პისტი) იოსების ასულ სართანია-ქობალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15. 16 სექტემბერს. დაკრძალვა 17 სექტემბერს. გამოსვენება ცოტნე დადიანის ქუჩა 15.

---

ვენერა და აპოლონ არახამიები ოჯახით იუწყებიან

**გიგა შოთას ძე ცაავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-17-09.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №4163